საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5008/01
19/05/2021

5008-01-2-202105191826

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“
მის: *ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი, N74ბ*
ელ.ფოსტა: office@wissol.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება (№7380; 23.04.2021), რომელიც ეხება ქ. თბილისში, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის სამინისტროს მიერ 2020 წლის 11 მარტის N24 სკოპინგის დასკვნით (ბრძანება N 2-260; 18.03.2020) და 2021 წლის 17 მარტის N 2517/01 წერილით მოთხოვნილი სრულყოფილი ინფორმაცია, მათ შორის არ არის წარმოდგენილი:

- 2014 წლის 8 აპრილის N16 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია და პირობების ანალიზი;
- ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით);
- გზშ-ის ანგარიშში (გვ 12) აღნიშნულია, რომ *,,ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ზღვრულად დასაშვები ნორმების ყურადღებას იქცევს საწარმოს ჩრდილოეთით (ორთოფოტოს ზემო მხარეს) სარკინიგზო ჩიხის, რკინიგზის და კვლავ ჩიხების იქით 200-მდე მეტრის დაშორებით მოფუნქციონირე შედარებით დაბალი სიმძლავრის და მოცულობის საწვავის საცავი. რეგიონის ფიზიკური შესწავლა და ფუნქციონალური ანალიზი ჩატარებულია და ყურადღებას არ იქცევს ფონური კონცენტრაციული მდგომარეობისა და სუმაციური ეფექტის არარსებობიდან გამომდინარე”.* ამასთან აღნიშნულია (გვ 75) *,,პერიმეტრიდან 40 და 115 მეტრით დაშორებული ანალოგიური ობიექტები 4,5 და 6,0 მილიონი ლიტრ/წელიწადში სიმძლავრისაა და მესამე 180 მეტრით დაშორებული ობიექტი კი ამ საწარმოზე 4-ჯერ ნაკლები სიმძლავრისაა. ამ საწარმოებიდან გაფრქვევის კუმულაციური ეფექტი ზდკ -ს 0.15 ნაწილს ვერ გადააჭარბებს. საწარმოს პერიმეტრის 500 მეტრიან რეგიონში მავნე ინგრედიენტებთან სუმაციური ეფექტის ნივთიერებებზე მონაცემები არ არის. რეგიონი მცირერიცხოვანი დასახლებითაა და არ არის ფონური*

მონაცემების გათვალისწინების საჭიროება არ არის". აღნიშნული ჩანაწერები გაუგებარია. გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, 500 მეტრიან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით (ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ტერიტორიის საზღვრიდან დაახლოებით 40 მეტრში შპს ,,იბეროილის"და დაახლოებით 115 მეტრში შპს ,,გ. მ. ჯგუფის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია ნავთობპროდუქტების რეზერვუარები), შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედების რისკებად განიხილება: ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება. კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით შეფასებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას;

- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ხმაურის გავრცელების დონეების **გაანგარიშება და მოდელირება,** რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ავტომანქანების მოძრაობის გეგმა-გრაფიკი და ტრანსპორტირების სქემა;
- ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად (გვ 23), სალექარში და ფილტრ-სეპარატორში გავლის შემდეგ გაწმენდილი წყალი გადადის საშრობ გუბურაში (ფართობი 1250 $მ^2$, სიღრმე 2 მ, მოცულობა 2500 $მ^3$), რომლის ფსკერი მოწყობილია დატკეპნილი თიხით. თუმცა არ არის ინფორმაცია თუ რა მასალით არის მოპირკეთებული ტერიტორიაზე არსებული გუბურა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ასევე გზშ-ის ანგარიშის გარკვეულ თავებში, ცვლილებები განხილულია როგორც დაგეგმილი საქმიანობა, ხოლო რიგ თავებში მოცემულია, რომ კომპანიის მიერ უკვე განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები, რაც ურთიერთსაწინააღმდეგოა და საჭიროებს დაზუსტებას. **გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას ობიექტზე არსებული რეალობის გათვალისწინებით.**

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე